



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1597 2017 წლის 27 ივლისი ქ. თბილისი

ელექტრონული ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ
ღონისძიებათა შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის 19 ივლისს ამოქმედებული ცვლილებების გათვალისწინებით, ამავე კანონის 10¹ მუხლის 3¹ პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, რომელთაც 2017 წელს მიეცათ თანხმობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების თაობაზე, 2017 წლის 19 ივლისიდან საქართველოს მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებებში მითითებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 15¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შესაბამის ვადებში.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2017 წლის 19 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი